

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 16

ქ.თბილისი

11 სექტემბერი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას, ი.ჩიქავას და ვ. სამხარაძის მონაწილეობით, მ/წლის 11 სექტემბერს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 6 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩი, რუსთავის „ხარები“-სა და ბათუმის „ბათუმს“ შორის. მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმის და მთავარი მსაჯის გ. ტრაპაიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ მატჩის მსვლელობისას, კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მორაგბემ ზ. ესართიამ (N 17), სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს. რის გამოც, მოედნიდან გამევეებული იქნა წითელი ბარათით.

აქვე გვინდა ავლნიშნოთ თამაშის დამთავრების შემდგომ მომხდარი ინციდენტი: კლუბ რუსთავის „ხარები“-ს გულშემატკივრებმა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მატჩის მთავარ მსაჯს. ასევე, ადგილი ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობასაც. ვინაიდან აღნიშნული ინციდენტი ადრეც არაერთგზის დაფიქსირდა რუსთავის „ხარები“-ს გულშემატკივართა მხრიდან და რადგანაც ასეთი შემთხვევა არ განიხილება მოქმედი სრკ სადისციპლინო კოდექსით, სადისციპლინო კომისია მიმართავს სრკ გამგეობას, განიხილოს აღნიშნული ინციდენტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, მსგავსი ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2 პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ზ. ესართია (N 17) დისკვალიფიცირებული იქნას 10 (ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 11 ოქტომბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მიმართ, ამოქმედებული იქნება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.5-ე მუხლი.
4. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს გულშემატკივრების მიერ ჩადენილი ქმედება განსახილველად გადაეგზავნოს სრკ გამგეობას.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /

